განკარგულება:**გ-27.27212112**
თარიღი:**30/07/2021**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 54

30 ივლისი 2021წ.

ქ. თელავი

თელავი-გომბორი-ვაზიანის ცენტრალური საავტომობილო გზის მონაკვეთზე მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული პროექტების სახეობების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24–ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების შესაბამისად,

1. თელავი-გომბორი-ვაზიანის ცენტრალური საავტომობილო გზის მონაკვეთზე, კერძოდ სოფელ ვარდისუბნის მონაკვეთიდან ახალი შუამთის საავტომობილო გზის გადასახვევამდე, გზის ორივე მხარეს, ღერძულა ხაზიდან 100 მეტრის დაშორებით, იმ პროექტების სახეობები, რომლზეც თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოხდება მშენებლობის ნებართვის გაცემა განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) საზოგადოებრივი კვების ობიექტები;

ბ) კულტურული, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტები;

გ) სასურსათო მაღაზიები;

დ) სხვა ტურისტული დანიშნულების ობიექტები.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 02 აპრილის №34 განკარგულება „თელავი-გომბორი-ვაზიანის ცენტრალური საავტომობილო გზის სოფელ ვარდისუბნის მონაკვეთიდან მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებული პროექტების სახეობების განსაზღვრის შესახებ“.

3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის N41).

არჩილი თხლაშიძე

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი